



სილაბუსი (ნიმუში)

საგანმანათლებლო პროგრამა			
უმადლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა	ფაკულტეტი	

პროგრამის კომპონენტის სახელწოდება	სამაგისტრო ნაშრომი Master's Thesis
-----------------------------------	---------------------------------------

სტატუსი	სავალდებულო
---------	-------------

სწავლების ენა	
---------------	--

წინაპირობები	
--------------	--

ECTS	1 კრედ. = 26 სთ	სულ სთ	საკონტაქტო სთ	დამოუკიდებელი სთ
------	-----------------	--------	---------------	------------------

ბნსუ-ში სემესტრის ორგანიზება	კვირა	საკონტაქტო სთ	შენიშვნა
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა და სხვ.	I – XVI		სილაბუსის შესაბამისად
ხელმძღვანელისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემა	XIV		ხელმძღვანელს სამაგისტრო ნაშრომი გადაეცემა ამონაბეჭდი სახით
სამაგისტრო ნაშრომის და ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ჩაბარება	XV		ბარდება ფაკულტეტის დეკანატში, სამაგისტრო ნაშრომი - ამონაბეჭდი და ელ. ვერსიების სახით, დასკვნა - ამონაბეჭდი სახით (ბარდება ხელმძღვანელისთვის ნაშრომის გადაცემიდან არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში). ამავე კვირას ხდება მაგისტრანტის ინფორმირება ხელმძღვანელის დასკვნაში მითითებული მაგისტრანტის შეფასებაზე დაშვების და რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის/გადაცემაზე უარის თქმის რეკომენდაციის შესახებ. ამავე პერიოდში ხდება საპრეტენზიო კომისიის მიერ შეფასებაზე არდამშვების და რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემაზე უარის თქმის რეკომენდაციის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.
რეცენზენტისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემა	XVI		გადაეცემა შეფასებაზე დაშვებული მაგისტრანტის ნაშრომი
რეცენზიის ჩაბარება	XVII		ბარდება ფაკულტეტის დეკანატში ამონაბეჭდი სახით რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემიდან არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში
სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია)	XVIII	1	დაცვის კომისიის ნაშრომი და რეცენზიები გადაეცემა საჯარო დაცვამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე ადრე. გადაეცემათ შეფასებაზე დაშვებული მაგისტრანტის ნაშრომი
საბოლოო შეფასების გამოცხადება			სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება (სამაგისტრო ნაშრომისა და საჯარო დაცვის შეფასებების შემთავამებელი ქულა) გამოცხადდება: ა) თუ მაგისტრანტი იყო დაშვებული შეფასებაზე - საჯარო დაცვის ჩატარებიდან არაუმეტეს 2 კალენდარულ დღეში; ბ) თუ მაგისტრანტი არ იყო დაშვებული შეფასებაზე - საპრეტენზიო კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისთანავე
კონსულტაციები			ტარდება ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ კონსულტაციების ცხრილის მიხედვით კვირაში min 1 სთ., საჭიროებისამებრ - ნაშრომის ხელმძღვანელის ელ-ფოსტის მეშვეობით. კონსულტაციები არ მიეკუთვნება მაგისტრანტის სასწავლო დატვირთვას და მითითებული საათები არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს

ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის (სილაბუსის ავტორის) შესახებ

სახელი, გვარი		საკონტაქტო ტელ.	
თანამდებობა		E-mail	

<p>სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის რეკომენდაცია</p>	<p>1. სამაგისტრო ნაშრომი მიეკუთვნება სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, არის წერიტი ნაშრომი, რომელიც უნდა შესრულდეს სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში. სამაგისტრო პროგრამის IV სემესტრის დაწყებამდე: ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომების თემებს და, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების კანდიდატურებს, მაგისტრანტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას (შესაბამისად, ხელმძღვანელს) და განცხადებით ამის შესახებ მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი). მაგისტრანტს უფლება აქვს შეცვალოს მის მიერ არჩეული სამაგისტრო ნაშრომის თემა ან უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. მაგისტრანტის განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას ეძლევა ახალი ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.</p> <p>2. ბნსუ-ში მოქმედი წესი: ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის (პროფესორთა შემადგენლობიდან) წარმომადგენელი ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე როგორც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ახალი სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გამოთქვას შენიშვნები, დაეხმაროს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში და სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ესწრება საჯარო დაცვას, თანახელმძღვანელის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო. საჯარო დაცვის კომისიას და მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა, ნაშრომის თანახელმძღვანელს შეუძლია მოითხოვოს საჯარო დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.</p> <p>3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის რეკომენდაცია - დასკვნა უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტის შრიფტი - "სილფაენი", ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), ხელმოწერილი ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ზოგადი დახასიათება და რეკომენდაცია მაგისტრანტის დასკვნით შეფასებაზე დაშვების/დაშვებაზე უარის თქმის და რეცენზენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემის/გადაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნაშრომის თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული მისი პოზიცია - მოსაზრებები სამაგისტრო ნაშრომის შესახებ და რეკომენდაცია მაგისტრანტის შეფასებაზე დაშვების და რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.</p>
<p>სამაგისტრო ნაშრომის მიზანი</p>	<p>სამაგისტრო ნაშრომი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომლის შესრულებით უნდა იყოს მიღწეული დაგეგმილი სწავლის შედეგები (სილაბუსში მითითებული კომპეტენციები).</p> <p>შენიშვნა: მითითებული წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ზოგად მიზნებს, რომლებიც დაკონკრეტდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p>
<p>სწავლის შედეგები</p> <p>შენიშვნა: ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები გამოხატავს მოსალოდნელ ზოგად შედეგს, რომელიც დაკონკრეტდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p>	<p>აქვს სფეროს ღრმა სისტემური ცოდნა, გაცნობიერებული და გააზრებული აქვს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული თეორიები და პრინციპები, მათი სპეციფიკა და თავისებურებები, რაც აძლევს ცალკეული, მათ შორის კომპლექსური პრობლემების გადაჭრის რელევანტური გზების ძიების, სფეროს სპეციფიკასთან დაკავშირებული ცოდნის მისადაგებისა და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების შესაძლებლობას.</p>



ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად ადეკვატური რესურსების შერჩევის, მოძიების და გამოყენების, რელევანტური მეთოდების და მიდგომების გამოყენებით მონაცემების და ინფორმაციის შერჩევის და შესწავლის, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.
დასკვნის უნარი	აქვს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების და შეფასების, რთული და არასრული ინფორმაციის და მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ნაშრომის თემის, შესრულებული სამუშაოს, კვლევის მეთოდების, საკუთარი მოსაზრებების, არგუმენტების და დასკვნების შესახებ წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინების უნარი.
სწავლის უნარი	აქვს ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარების, უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მაღალ დონეზე სტრატეგიულად დაგეგმვის, წარმატებული საქმიანობისთვის უწყვეტი განათლების, ცოდნის განახლების და კომპეტენციების სრულყოფის მნიშვნელობის გაცნობიერების და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
ღირებულებები	შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, აქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.

№	საკონტაქტო სთ.	შინაარსი
1		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - სილაბუსის განხილვა, მაგისტრანტის ინფორმირება პროგრამის კომპონენტის - „სამაგისტრო ნაშრომის“ მიზნების, დაგეგმილი შედეგების, შეფასების სისტემის, შესასრულებელი სამუშაოს და სხვ. შესახებ; შესასრულებელი სამუშაოს მიმოხილვა და სამუშაოს დაგეგმვა.
2		
3		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა-ანალიზი.
4		
5		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა-ანალიზი.
6		
7		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა-ანალიზი.
8		
9		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა-ანალიზი.
10		
11		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა-ანალიზი.
12		-
13		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის განხილვა.
14		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - პრეზენტაციის პროექტზე მუშაობა.
16		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შეფასებაზე დაშვებული მაგისტრანტის მიერ პრეზენტაციის წარდგენა PowerPoints გამოყენებით, მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-ანალიზი.
შენიშვნა: ზემოთ მითითებული განრიგი (მათ შორის, მუშაობის ფორმატი, საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვ.) შეიძლება დარჩეს უცვლელი ან შეიცვალოს ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე.		

სწავლება-სწავლის მეთოდები	ძირითადია თეორიული მუშაობის და კვლევითი მეთოდები, ასევე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობები: მაგ., პრობლემის განხილვა-ანალიზი, ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, დისკუსია და სხვ., რაც მაგისტრანტისთვის ცოდნის გადაცემის გარდა მიმართულია
----------------------------------	---

	<p>მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების, კვლევითი და ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორცაა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით მიზნის დასახვა და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების შერჩევა-გამოყენება, შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა, თანმიმდევრულ ეტაპებად რაციონალური დაყოფა, დროის მართვა, რელევანტური ლიტერატურისა და უახლესი მონაცემების შერჩევა-შესწავლა, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისთვის სხვადასხვა რესურსების შერჩევა და გამოყენება, კრიტიკის გათვალისწინება, საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება და სხვ.</p> <p>შენიშვნა: სწავლების მეთოდები შეიძლება დარჩეს უზველელი ან შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის და შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებების გათვალისწინებით.</p>
--	---

<p>სამაგისტრო ნაშრომი</p>	<p>სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის საშუალოდ 50-70 გვერდი, შრიფტი - "სილფანგი", ზომა - 10, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12 Bold, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, ფურცლის ველები - ზემოდან, ქვემოდან და მარცხნიდან 2.5, მარჯვნიდან - 1,5 სმ; 2. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: <ul style="list-style-type: none"> • თავფურცელი - სამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი (უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და უმაღლესი განათლების საფეხური, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, მაგისტრანტის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რეცენზენტების სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის შესწულების ადგილი და წელი); • ანოტაცია - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას (ერთი გვერდის მოცულობით); • შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილი, აისახავს ნაშრომის თემის აქტუალობის დასაბუთებას, მიზნებსა და დასმულ ამოცანას; • ტექსტის ძირითადი ნაწილი - შეიძლება დაიყოს თავებად, ქვეთავებად და/ან პარაგრაფებად; • დასკვნა - ასახავს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს; • გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - მიეთითება ნაშრომის/პროექტის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულენაზე, შემდეგ - უცხოურენაზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს: <ul style="list-style-type: none"> ○ პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; წელი; ნაშრომის სახელწოდება; სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება; ტომის ნომერი; გამოცემის ნომერი; გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი; ○ წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; გამოცემის წელი; სახელწოდება; გამოცემის ადგილი; გამომცემლობა; ○ ინტერნეტ-რესურსის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორი; ვებგვერდის მისამართი; მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით; მასალის მოძიების თარიღი; ○ ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები); წელი; სტატიის დასახელება; ელექტრონული გამოცემის დასახელება; გამოცემის ნომერი; თავი/პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში); ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი; ○ სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება; უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი; წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი; დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...); დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით; ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი; გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი. ○ ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოს ფამდმით. შემდეგ მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161). <p>სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ყველა ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლიდან.</p> <ol style="list-style-type: none"> 3. ნაშრომი უნდა აიკინმოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი; ანოტაცია; სარჩევი; შესავალი; თავები; დასკვნა; გამოყენებული ლიტერატურა; დანართები (ცხრილები, სქემები და/ან სხვ.).
----------------------------------	--

<p>სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი</p> <p>რეცენზია (რეცენზენტის დასკვნა)</p>	<p>სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რაც ხდება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდის დასრულებამდე. რეცენზენტი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რეცენზენტი შეიძლება იყოს ბნსუ-ს ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (პროფესორთა შემადგენლობიდან) ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დარგში პროფესიული გამოცდილების მქონე პირი. რეცენზენტს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ნაშრომის რეცენზენტობაზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს მისთვის ნაშრომის გადაცემამდე. მაგისტრანტს უფლება აქვს უარი თქვას ნაშრომის კონკრეტულ რეცენზენტზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერი-</p>
---	---

ლობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის ვადის დადგომამდე. მაგისტრანტის/რეცენზენტის განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება სხვა რეცენზენტი. რეცენზენტი განიხილავს სამაგისტრო ნაშრომს და აზრადებს რეცენზიას (დასკვნას). რეცენზენტის დასწრება დაცვაზე არ არის სავალდებულო. დაცვის კომისიის და მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა, რეცენზენტი შეუძლია მოითხოვოს დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

რეცენზია უნდა იყოს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტის შრიფტი - "სილვანის", ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), დადასტურებული რეცენზენტის ხელმოწერით და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რეცენზენტის ვინაობა, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, დასკვნა ნაშრომის შესახებ - ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა შენიშვნების/რეკომენდაციების მითითებით).

მაგისტრანტის შეფასება. შეფასების ზოგადი წესი, ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები

ბნსუ-ში შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით; სამაგისტრო ნაშრომი არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომლის: 1) შეფასება ხდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით; 2) შეფასების ქულა (max 100 ქულა) უდრის უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში (ხვედრით წილი - მთლიანი შეფასების 98%) და ნაშრომის ზეპირ წარდგენაში (ხვედრითი წილი - მთლიანი შეფასების 2%) მიღებულ ქულათა ჯამს; 3) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში შეადგენს მაქსიმალური შესაძლო შეფასებიდან (100 ქულიდან) 51 ქულას, ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში: ა) არ ხდება ნაშრომის წეპირი წარდგენა, ბ) მთლიანობაში კომპონენტის შეფასების ქულა უდრის მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულას და 40-0 ქულის შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას, ხოლო 41-50 ქულის შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში (გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემთხვევაში მიღებული შეფასება არის საბოლოო შეფასება და 0-50 ქულის შემთხვევაში ფორმდება შეფასება F=0 ქულა). სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი დაძლეულად ითვლება შემაჯამებელი (საბოლოო) არანაკლებ 51 ქულის მიღების შემთხვევაში, საიდანაც არანაკლებ 50 ქულა შეადგენს უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულას. შეფასების წილადის სახით მიღებული ქულები მიეღწევა მრგვალებს დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა უშვებს:

5 დადებით შეფასება:			2 უარყოფით შეფასება:		
1	91 – 100 ქულა	A ფრიადი	1	41 – 50 ქულა	FX ვერ ჩააბარა
2	81 – 90 ქულა	B ძალიან კარგი	მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში		
3	71 – 80 ქულა	C კარგი			
4	61 – 70 ქულა	D დამაკმაყოფილებელი	2	40 – 0 ქულა	F ჩაიჭრა
5	51 – 60 ქულა	E საკმარისი	მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას		

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

max 100 ქულა	შეფასების ფორმა	შეფასების კომპონენტი	ხვედრითი წილი max 100 ქულის ფარგლებში
100	დასკვნითი შეფასება	კვლევითი სამუშაოს საჯარო დაცვა	98%
			2%
			სამაგისტრო ნაშრომი
			ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია)

დასკვნითი შეფასება

შენიშვნა: 1) შეფასება ხდება ერთჯერადად საჯარო დაცვაზე, შეფასების 02 მეთოდის მეშვეობით - უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის და პრეზენტაციის ფორმით ნაშრომის ზეპირი წარდგენის შეფასებით, 2) უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის (max 100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მიღების) შემთხვევაში დაცვის კომისია აძლევს მაგისტრანტს ნაშრომის ზეპირად წარდგენის შესაძლებლობას და აფასებს როგორც წარმოდგენილ პრეზენტაციას, ისე მაგისტრანტის მიერ წარმოჩენილ კომპეტენციებს, 3) დაცვის კომისია ადგენს სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის - „სამაგისტრო ნაშრომის“ - საბოლოო შეფასების ქულას.

სამაგისტრო ნაშრომი სულ - max 100 ქულა

შენიშვნა: 1) ფასდება დაცვის კომისიის წევრების - დარგის სპეციალისტების მიერ ინდივიდუალურად (თითოეულის max შეფასება - 100 ქულა), თითოეული შემფასებლის მიერ მინიჭებული ქულა წარმოადგენს შეფასების ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0 ქულა. ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ზარეუბები ან სხვ.) იწერება 0 ქულა; 2) სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (ქულა) წარმოადგენს დაცვის კომისიის წევრების - დარგის სპეციალისტების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალოarithმეტიკულ სიდიდეს.

1. ფორმალური მხარე სულ - max 8 ქულა

8.0	კერძოდ:
4.0	1. ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება მოთხოვნებს.
4.0	2. ნაშრომის გაფორმება შეესაბამება მოთხოვნებს.

2. წერის კულტურა		სულ - max 12 ქულა
12.0	კერძოდ:	
6.0	1. ნაშრომი ენობრივად და ტერმინოლოგიურად გამართულია, ლექსიკა და სტილი რელევანტურია.	
6.0	2. აზრი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადმოცემული გამართული წინადადებებით, მათ შორის კავშირი ლოგიკურია.	
3. შინაარსობრივი მხარე		სულ - max 80 ქულა
80.0	კერძოდ:	
8.0	1. საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა არის მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებული.	
8.0	2. მიზნები და ამოცანები არის მკაფიოდ ფორმულირებული, რელევანტური და მიღწევადი.	
8.0	3. პრობლემა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, გამოკვეთილია კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.	
8.0	4. კვლევის მეთოდები არის კვლევის პრობლემატიკის შესაბამისი, სრულად შერჩეული და გამოყენებული.	
8.0	5. კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები არის რელევანტური და სანდო. შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის თემს, მათი რაოდენობა არის საკმარისი, ანალიზი - სრული.	
8.0	6. შერჩეული მასალის, პირველწყაროების და ლიტერატურის რაოდენობა არის საკმარისი, ანალიზი - სრული.	
8.0	7. კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, კვლევის ეტაპები არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, დასმული საკითხების გადაწყვეტა ადეკვატურია.	
8.0	8. წარმოდგენილი და რელევანტურად გაანალიზებულია განსხვავებული და მსგავსი პოზიციები, აკადემიური სტანდარტი დაცულია, მკაფიოდ არის გამოიჯნული საკუთარი და სხვისი მოსაზრებები.	
8.0	9. კვლევის შედეგები შეესაბამება კვლევის მიზანს და ამოცანებს, მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული და დასაბუთებული, არის აქტუალური აკადემიური და/ან პრაქტიკული თვალსაზრისით.	
8.0	10. დასკვნები არის კვლევის შედეგების შესაბამისი და დასაბუთებული, მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.	
0	სარეცენზიოდ ნაშრომი წარდგენილი არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმში შეფასდა 0 ქულით.	
სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია)		სულ - max 100 ქულა
შენიშვნა: 1) ტარდება PowerPoints გამოყენებით, წარდგენის რეგლამენტი - საშუალოდ 30-35 წ.; 2) ფასდება დაცვის კომისიის ყველა წევრების მიერ ინდივიდუალურად (თითოეულის max შეფასება - 100 ქულა), თითოეულის წევრის შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0 ქულა. ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ ხარვეზები ან სხვ.) იწერება 0 ქულა; 3) ნაშრომის ზეპირ წარდგენაში (პრეზენტაციაში) მიღებული შეფასება (ქულა) წარმოადგენს დაცვის კომისიის ყველა წევრების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალოარიტმეტიკულ სიდიდეს.		
1. პრეზენტაციის ტექნიკური მხარე		სულ - max 36 ქულა
36.0	კერძოდ:	
6.0	1. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე: პრეზენტაცია მომზადებულია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამ(ებ)ის გამოყენებით, მისი ვიზუალური მხარე სრულყოფილია.	
6.0	2. პრეზენტაციის სლაიდების ტექსტი არის ოპტიმალური მოცულობის და ლოგიკურად ჩამოყალიბებული.	
6.0	3. პრეზენტაციის სლაიდების ტექსტი ქმნის სრულ წარმოდგენას სამაგისტრო ნაშრომის შინაარსზე.	
6.0	4. პრეზენტაცია ჩატარდა შეფერხების გარეშე, სლაიდები და საილუსტრაციო მასალები იყო დროულად და თანმიმდევრულად წარდგენილი.	
6.0	5. IT ფლობის დემონსტრირება: პრეზენტაცია ჩატარდა სრულყოფილად IT-ის გამოყენებით.	
6.0	6. დროის მართვა: პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი დაცულია.	
2. პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან)		სულ - max 64 ქულა
64.0	კერძოდ მაგისტრანტს შეუძლია:	
8.0	1. აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკის გამოყენება (ქესტიკულაცია, პაუზები და სხვ.).	
8.0	2. აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება და სტრუქტურირებულად გადაცემა გამართული წინადადებებით ტერმინოლოგიის სრული და სწორი გამოყენებით.	
8.0	3. სრული და მკაფიო წარმოდგენის შექმნა ნაშრომის თემაზე და შესრულებულ სამუშაოზე.	
8.0	4. ნაშრომის საკვანძო საკითხებზე და ძირითად ასპექტებზე ყურადღების გამახვილება.	

8.0	5. ლოგიკურად, თანმიმდევრულად, დამაჯერებლად საუბარი და თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ დასაბუთებულად მსჯელობა.
8.0	6. აუდიტორიის შეკითხვების სწორად გაგება და შეფერხების გარეშე სწორი, ამომწურავი, დასაბუთებული და ტერმინოლოგიურად გამართული პასუხის გაცემა.
8.0	7. დისკუსიაში მონაწილეობა შეფერხების გარეშე.
8.0	8. საკუთარი პოზიციის დასაბუთების მიზნით რელევანტური მაგალითების და არგუმენტების მოყვანა, ინფორმაციის განზოგადება/დაკონკრეტება, თეორიული ცოდნით თავისუფლად ოპერირება და საკითხის ღრმა და სისტემური ცოდნის წარმოჩენა.
0	პრეზენტაცია მომზადებული არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმში შეფასდა 0 ქულით.

შენიშვნა: ზემოთ მითითებული შეფასების რაოდენობები, მეთოდები და კრიტერიუმები შეიძლება დარჩეს უცვლელი ან შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ.

ძირითადი ლიტერატურა	1.	
---------------------	----	--

დამატებითი ლიტერატურა	1.	
-----------------------	----	--

ინტერნეტ-და სხვა რესურსები	1.	
----------------------------	----	--

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი	დასათაურება
--------------------	-------------

მაგისტრანტი	სახელი, გვარი
-------------	---------------

საგანმანათლებლო პროგრამა	
უმადლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი	
უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
მისამართი	
საკონტაქტო ტელეფონი	E-mail
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	

ნაშრომის შესრულების ადგილი

ნაშრომის შესრულების წელი